<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---მარტი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ექიმის ბარბარე ყიფიანის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ექიმის ბარბარე ყიფიანის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X=478741 Y=4620633
X=478675 Y=4620539
Ճանապարհ ցոցանակ 4
1:1,250

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011786783715123

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405

 # 18630

31 / იანვარი / 2023 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2023 წლის 26 იანვარს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს N 19323/17 (N M22013762) განცხადებით მომართა შპს "გეოკურიერმა" (ID ნომერი: 405223324) რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობის რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ, ნაკვეთი 14/053 (საკადასტრო კოდით N 01.14.16.014.054).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N 01.14.16.014.054) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 202 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1-ლი ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032307499**
თარიღი: **15/03/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2023 წლის 31 იანვრის საქმე #06-032303137-03 დაკავშირებით, რომლითაც შპს "გეოკურიერის" N M22013762 მიმართვის საფუძველზე მოთხოვნილია ლისის ტბის მიმდებარედ უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება (ს.კ. 01.14.16.014.054).
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ზემოხსენებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3(სამი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01230751541**
თარიღი: **16/03/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 15.03.2023 წლის #03-032307499 (15.03.2023წ. #14-01230743633-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ბარბარე ყიფიანი

(1879-1965)

ქართველი ექიმი, მეცნიერი, პედაგოგი, მრავალი ფუნდამენტური ნაშრომის ავტორი და საფრანგეთის სამედიცინო აკადემიის წევრი, ევროპაში მოღვაწე პირველი ქართველი ფსიქო-ფიზიოლოგი, ბავშვთა ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის საკითხებზე მინიჭებული აქვს ოქროს მედლის პრემიები.

ბარბარე (ვარა) ყიფიანი დაიბადა 1879 წლის 4 თებერვალს ქუთაისში, ქართველი საზოგადო მოღვაწის, თავადაზნაურთა წინამძღოლის, დიმიტრი ყიფიანის უფროსი ვაჟის, ნიკოლოზ ყიფიანის ოჯახში. დედა – ანასტასია ერისთავი ქეთევან წამებულის პირდაპირი შთამომავალი იყო. ბარბარე ძირითადად ქვიშხეთში, პაპისეულ ოჯახში იზრდებოდა. მშობლების განქორწინების შემდეგ, ბარბარე და მისი დები მამამ ბათუმში წაიყვანა, სადაც 1883-1890 წლებში სასამართლო უწყებაში მსახურობდა.

1899 წელს ბარბარე ყიფიანმა წარჩინებით დაამთავრა თბილისის წმიდა ნინოს სასწავლებელი, სადაც სათავადაზნაურო–საადგილმამულო ბანკის ხარჯით სწავლობდა. რამდენიმე წელი ხონის წმიდა მარიამის სასწავლებელში პედაგოგად იმუშავა. 1901 წელს სწავლის გასაგრძელებლად მამასთან გაემგზავრა ბელგიაში (მამა ნიკოლოზ ყიფიანი 1887 წელს ყიფიანების ოჯახს თავს დატეხილმა უბედურებამ, დიმიტრი ყიფიანის მკვლელობამ, ნევროგენული დიაბეტით დააავადა. 1890 წელს იგი სამკურნალოდ ევროპაში გაემგზავრა და უკან აღარ დაბრუნებულა). 1902 წელს ჩაირიცხა ბრიუსელის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. სწავლის პერიოდშივე გამოიჩინა თავი, როგორც უაღრესად ნიჭიერმა, შრომისმოყვარე, ფართო ერუდიციის მქონე სტუდენტმა. 1904 წლის აგვისტოში ბრიუსელში შედგა ფიზიოლოგთა მეექვსე საერთაშორისო კონგრესი, რომელშიც ორმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა – ბარბარე ყიფიანმა და რუსეთიდან პროფესორმა ივანე თარხნიშვილმა. ორივეს მოხსენებას მოწონება და ხანგრძლივი ტაში დაუმსახურებია. მათი

გამოსვლით აღტაცებული რევაზ გაბაშვილი იმავე წლის "ცნობის ფურცელში" წერდა, რომ ბარბარე ყიფიანის მეცნიერად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღოდა პროფესორ იოტეკოს, ეროვნებით პოლონელ ქალბატონს. მან ბარბარე თავის ლაბორატორიაში სამუშაოდ მიიღო და საშუალება მისცა სწავლის ფული გადაეხადა, როცა იგი საფასურის გადაუხდელობის გამო უნივერსიტეტიდან გარიცხეს. რევაზ გაბაშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა: "მგონია საჭიროა ჩვენმა საზოგადოებამ იცოდეს, რომ, სათავადაზნაურო ბანკის დამაარსებლის დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილებს უცხოელნი პატრონობენ და თავის შინაურობამ კი მათ უარი უთხრა სტიპენდიაზე. ალბათ, ასე ესმის თავადაზნაურობას მადლის გადახდა და თავის მოვალეობა".

ბარბარე ყიფიანი წლების განმავლობაში მოღვაწეობდა ბრიუსელის უნივერსიტეტში, იკვლევდა ადამიანის მეხსიერების სახეობათა განსაზღვრის ხერხებს, აღზრდის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს, ტროპიზმს, ამბიდექსტრიას (ორივე ხელის ერთნაირად მომარჯვება) მოსწავლეთა შორის და სხვა. 1908 წლიდან ბრიუსელის უნივერსიტეტის ჟურნალის სწავლული მდივანი გახდა. მონაწილეობდა ფიზიოლოგთა და პედოლოგთა საერთაშორისო კონგრესების მუშაობაში. მისი საინტერესო კვლევების შესახებ იწერებოდა ევროპის პრესაში, სხვადასხვა ენაზე იბეჭდებოდა მისი შრომები სტატიების, ბროშურებისა და მონოგრაფიების სახით. ბარბარე ყიფიანი, როგორც მეცნიერი ფიზიოლოგი, დაჯილდოებულია სხვადასხვა ქვეყნის სიგელებით, ვერცხლისა და ოქროს მედლებით. იყო რამდენიმე სამეცნიერო პრემიის ლაურეატი. ლექციებს კითხულობდა ბრიუსელის, ლიეჟის, პარიზისა და ჟენევის უნივერსიტეტებში. წერდა ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. გარდა სპეციალური ფსიქოფიზიოლოგიური დისციპლინებისა, ბრიუსელის უნივერსიტეტში ქართული და რუსული სიტყვიერების კურსიც მიჰყავდა.

1910 წელს ბარბარე ყიფიანის თაოსნობით ბრიუსელის საერთაშორისო მუზეუმში დაარსდა მსოფლიო ხალხთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის ქართული სექცია, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზღვარგარეთ ქართული სულიერებისა და კულტურის პოპულარიზაციისათვის.

1912 წელს, დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალების 25 წლისთავთან დაკავშირებით, ბარბარემ ბრიუსელიდან თბილისში შემდეგი შინაარსის დეპეშა გამოაგზავნა: "მუხლმოდრეკით ვამკობ დიდებული პაპაჩემის საფლავს 25 წლის განმავლობაში ნაგრძნობ მწუხარებისაგან დაწნულ თაიგულით". გარკვეული ხნის შემდეგ ბარბარე ყიფიანი სამშობლოში დაბრუნდა. ეწოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ–კულტურულ მოღვაწეობას. ასწავლიდა ფრანგულ ენას თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, ქალთა მე-5 გიმნაზიაში, იუნკერთა სამხედრო სასწავლებელში, მსახურობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნსაცავის გამგის, აკაკი შანიძის თანაშემწედ, იყო ქართველთა სამხედრო კავშირის,

აგრეთვე საქართველოს ხელოვნებათა კავშირის წევრი. 1921 წელს, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ახალი ხელისუფლებისაგან უკიდურესად შევიწროებული, იძულებული გახდა კვლავ ბრიუსელში გახიზნულიყო.

1940 წელს, როდესაც ევროპა მეორე მსოფლიო ომის ხანძარში გაეხვა, როგორც სალომე დადიანისა და მიურატების ქონების მეურვემ, მიუნხენიდან გამოიძახა ქართველოლოგი, ქართული დამწერლობისა და კულტურის მკვლევარი მიხეილ თარხნიშვილი და შესთავაზა ნაანდერძევი სახსრებით (ფულითა და ნივთებით) დაეარსებინა რომის კათოლიკური მონასტერი ქართული კულტურის ძეგლების შესანარჩუნებლად. მიხეილ თარხნიშვილს მიუღია ეს წინადადება, შეუძენია სამონასტრო შენობა და ბარბარე ყიფიანისაგან მიღებული ნივთები და დოკუმენტები იქ დაუბინავებია. ამავე მონასტერში გადმოუტანია კონსტანტინეპოლის ქართული კათოლიკური მონასტრიდან წამოღებული უნიკალური მასალები, ჩამოუყალიბებია ქართული არქივი, ქართული კათოლიკური სასულიერო სემინარია და თვითონ დამდგარა რექტორად. საერთაშორისო შეთანხმებით რომი დაცული უნდა ყოფილიყო ომებისგან. ბარბარე ყიფიანი დიდად უწყობდა ხელს ქართული კულტურისადმი ინტერესის ზრდას ევროპაში, სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ბევრმა ქართველმა ახალგაზრდამ უმაღლესი განათლება ევროპის უნივერსიტეტებში მიიღო.

ბარბარე ყიფიანი გარდაიცვალა 1965 წელს, 85 წლის ასაკში, დაკრძალულია ქალაქ ბრიუსელში.